

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ზონები მათ შორის: კახეთის მხარის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რაიონები, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 აგვისტოს №341 ბრძანებულებით გამოცხადდა საგანგებო ეკოლოგიურ ზონად. დედოფლისწყაროს გამგეობის 2000 წლის 29 დეკემბრის №72 დადგენილებით მოიწარმეს შეუმცირდათ იჯარის ქირა 90%-ით, რაც არ იქნა აღიარებული საგადასახადო ვალდებულებების შეწყვეტის საფუძველად საგადასახადო სამსახურის მიერ. 2000 წლის მიწის გადასახადს დაერიცხა საურავი რაც გახდა კანონპროექტის წარმოდგენის საფუძველი.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გადამხდელი პირებს, რომელთა მიწის ნაკვეთებზე მდებარეობს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 აგვისტოს №341 ბრძანებულებით საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონად გამოცხადებულ ტერიტორიებზე, შეუწყდეთ საგადასახადო ვალდებულებები 2000 წლის 1 იანვრიდან 2001 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიხედვით გაანგარიშებული მიწის გადასახადის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა თანხებზე დარიცხულ საურავებზე.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

2000 წელი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის არახელსაყრელი იყო. ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში შექმნილი კლიმატური პირობები დაკვალიფიცირდა ექსტრემალურ გვალვად, ხოლო მისი ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით იგი ჩაითვადა სტიქიურ უბედურებად. გაუარესდა გარემოს მდგომარეობა, საფრთხე შეექმნა მცენარეულ საფარს და ცხოველთა სამყაროს.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ზონები მათ შორის: კახეთის მხარის, მცხეთა მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რაიონები, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 3 აგვისტოს №341 ბრძანებულებით, გამოცხადდა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონად.

მრავალთვიანმა სიმშრალემ და გვალვამ უმძიმესი კლიმატური პირობები შექმნა ქვეყნის აგრარულ სექტორში, განსაკუთრებით კახეთის მხარეში. მაგალითად დედოფლისწყაროს რაიონში მოსახლეობამ ნატურაში დაკარგა, დაახლოებით 44600 ტონა ხორბალი, 10000 ტონა ქერი, 7000 ტონა სიმინდი,

24000 ტონა კარტოფილი, 7500 ტონა ბაღჩეულ-ბოსტნეული. სოფლის მოსახლეობა ჩაეარდა უმძიმეს მდგომარეობაში და შეიქმნა გადახდისუუნარო. დედოფლისწყაროს გამგეობამ 2000 წლის 29 დეკემბრის №72 დადგენილებით მოიჯარეებს შეუმცირა იჯარის ქირა 90%-ით, რაც არ იქნა აღიარებული საგადასახადო ვალდებულებების შეწყვეტის საფუძველად საგადასახადო სამსახურის მიერ. 2000 წლის მიწის გადასახადს, რომლის ძირითადი თანხა შეადგენს 1 105 747 ლარს, ერიცხება საურავი დაახლოებით 2 700 000 ლარი, რაც უფრო ამძიმებს მოიჯარეთა მდგომარეობას.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს საფინანსო ხარჯების გაწევას.

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან იგი არის წინა წლების დავალიანება.

### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

### **ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული არ იქნება მდგომარეობის გაუარესება იმ პირობათვის, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება.

### **ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

## **გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

### **გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში**

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები და ექსპერტები, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი. კანონპროექტი განხილულია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში**

ასეთი შეფასება წერილობით წარმოდგენილი არ არის.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია აგრარულ საკითხთა კომიტეტი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია აგრარულ საკითხთა კომიტეტი.